



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

გამოყენებითი ეკონომიკა

Applied Economics

მიმართულება: 07 სოციალური მეცნიერებები

სპეციალობა: 0701 ეკონომიკა

პროგრამის ხელმძღვანელები: 1) ნანა რინკიაშვილი, ასოც. პროფესორი

2) მაია გონაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

3) ლორენცო ვენცი-ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,

1. ცვლილებები განხორციელებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი №13 02.09.2016წ.

ფაკულტეტის დეკანი

/ნ. რინკიაშვილი/

2. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურების მიერ

ოქმი №1 08.05.2017წ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი:

/შ. ჭკადუა/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი №15 10.05.2017წ.

უნივერსიტეტის რექტორი

/ი. შიომშვილი/

თელავი

ფაკულტეტი: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის

დეპარტამენტი: ეკონომიკისა და ტურიზმის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: გამოყენებითი ეკონომიკა (Applied Economics)

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:

1) ნანა რინკიაშვილი, ასოც. პროფესორი, ტელ: 557 77 85 85 rinkiashvili@gmail.com

2) მაია გონაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი; ტელ. 599 79 36 36;
maya_gonashvili@yahoo.com

3) ლორენცო ვენცი-ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ტელ: 558 190267; lvenzi@unitus.it

საფეხური: დოქტორანტურა (III)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის დოქტორი

(Doctor/PhD of Economics)

პროგრამის ანალოგები:

ფლორიდა სახელმწიფო უნივერსიტეტი, florida State university,

<http://myweb.fsu.edu/tzuehlke/doctoral/curriculum.html>

სტენფორდის უნივერსიტეტი, Stenford University,

<https://economics.stanford.edu/graduate/graduate-degree-programs/phd-degree>;

ჰარვარდის უნივერსიტეტი, Harvard University, <https://economics.harvard.edu/pages/graduate>

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS კრედიტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული უცხო ენის მისაღები გამოცდის (წარმატებულად ჩაბარებული), სწავლის მსურველის სამოტივაციო წერილის, შესაბამისი დოკუმენტების, გასაუბრების საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი უცხო ენის (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. დოქტორანტი თავისუფლდება უცხო ენის გამოცდიდან არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში

(თითოეულ ენაში საერთაშორისო აღიარებული ორგანიზაციების მიერ გაცემული სერთიფიკატი) ან უცხოენოვან პროგრამაზე ან სასწავლებელში გატარებული მინიმუმ ერთი სემესტრის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

შეფასების კრიტერიუმები ქვეყნდება თესაუ-ს ვებგვერდზე (www.tesau.edu.ge).

დოქტორანტი აფორმებს უნივერსიტეტთან ხელშეკრულებას, გადის აკადემიურ და ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.

პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან: ეკონომიკის მიმართულებით სადოქტორო პროგრამა სთავაზობს დაინტერესებულ საზოგადოებას ეკონომიკის პროფილის მქონე მაღალი დონის სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ეკონომიკაში არსებული მიღწევების გაუმჯობესებასა და სრულყოფას; იქნებიან დასაქმების შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანები და წარმატებით გაუძღვებიან სასწავლო და კვლევით საქმიანობას როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე მის საზღვრებს გარეთ. ის სრულიად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამის მიზანია ეკონომიკურ მეცნიერებაში შემოქმედებითად მოაზროვნე, საერთაშორისო დონის მკვლევარის მომზადება. კერძოდ, მომავალი მკვლევარებისთვის:

- დამოუკიდებელი მეცნიერული და მკვლევარის აზროვნების ჩამოყალიბება,
- ეკონომიკის დარგში არსებული თეორიული შეხედულებებისა და პრაქტიკული პროცესების კრიტიკული შეფასება—გადაფასების უნარების ჩამოყალიბება,
- ახალი მეცნიერული იდეების თეორიული კონსტრუირების მექანიზმების ფორმირების უნარის გამომუშავება,
- ეკონომიკის დარგობრივ კომპეტენციებთან მიმართებაში პრობლემათა გადაწყვეტის უნარების გამომუშავება;
- ეკონომიკისა და მომიჯნავე დისციპლინების ურთიერთდაკავშირების გზით ცოდნის განზოგადებისა და პრობლემის კომპლექსურად გააზრების უნარების ფორმირება;
- ობიექტური თვითშეფასებისა და მუდმივი პროფესიული სრულყოფისაკენ სწრაფვის ფორმირება;

სწავლის შედეგები

გამოყენებითი ეკონომიკის დოქტორანტურის კურსდამთავრებული მიიღებს ამ მიმართულებით ღრმა, სისტემურ და უახლეს დარგობრივ ცოდნასა და ზოგად კომპეტენციებს:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>დოქტორანტს ეცოდინება:</p> <p>ეკონომიკის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ფლობს სისტემურ და სიღრმისეულ თეორიულ ცოდნას მიკრო- და მაკროეკონომიკის, ეკონომიკის რაოდენობრივი, თვისებრივი, ეკონომიკური (მიკრო-მაკრო დონეზე), სტატისტიკური და ეკონომეტრიკული კვლევის მეთოდებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე) ✓ სისტემური და სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე აცნობიერებს პრობლემებს როგორც ეკონომიკის, ისე სოციალური მეცნიერებების მომიჯნავე სფეროებში. მას შეუძლია აწარმოოს თეორიული ან გამოყენებითი კვლევა, რომელიც მას საშუალებას აძლევს გაამდიდროს არსებული ცოდნა ამ სფეროში; ამასთან მოახდინოს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება; ✓ ეკონომიკაში დაგროვილი პრობლემები და ამ პრობლემათა გადაჭრის ინოვაციური მექანიზმები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>დოქტორანტი შეძლებს:</p> <p>ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და შედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო</p>

	<p>რეფერირებად პუბლიკაციებში;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ინდივიდუალური, ჯგუფური და ორგანიზაციული ეფექტიანობის მართვას; ✓ გლობალიზაციის პროცესების შესწავლას და ეროვნული თავისებურებების ორგანიზაციულ კულტურაზე გავლენის დადგენას; ✓ მიკრო და მაკრო ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზს; ✓ ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების შეფასებას; ✓ ალტერნატივების შეფასებასა და მართვას; ✓ ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზს; ✓ გაანალიზოს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება და გააცნობიეროს, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი და ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საქმეში. ✓ კონკრეტული მოვლენის დროში პროგნოზირებას; ✓ კვლევითი პროექტების შედგენასა და მართვას. პროექტისთვის საჭირო რესურსების მოძიებას. ✓ ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ✓ შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და შემდგომ შესაბამისად აისახება რეფერირებად პუბლიკაციებში; ✓ შერჩევითი დაკვირვების პრაქტიკაში გამოყენება; ✓ კვლევის წარმოების პროცესში გამოიყენოს ჰიპოთეზათა შეფასების მეთოდები; ✓
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>დოქტორანტი შეძლებს:</p> <p>– ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;</p>

	<ul style="list-style-type: none"> ✓ კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით რთული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზსა და სინთეზს; ✓ დაგეგმოს და განახორციელოს (საჭიროების შემთხვევაში უხელმძღვანელოს) სამუშაო დამოუკიდებლად საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით; ✓ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა, ანალიზი, დასკვნების დამოუკიდებლად შემუშავება; ✓ ბაზრების სტატისტიკურ მოდელირებას და პროგნოზირებას, ინდექსების კვლევაში გამოყენებას და ასახვას. ✓ პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>დოქტორანტი შეძლებს:</p> <p>ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში. მონაწილეობა მიიღოს სატელევიზიო დებატებში, საგაზეთო პუბლიკაციებში, გამოიყენოს მასმედიის სხვა საშუალებები და საზოგადოებას გააცნოს წარმოებული კვლევის ღირებული შედეგები ქართულ და სხვა უცხოურ ენაზე; ✓ არ გაექცეს მიმდინარე დისკუსიებს საზოგადოებისთვის პრობლემატურ და აქტიურ საკითხებზე. ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩინოს, ✓ ეკონომიკის სფეროში. ითანამშროლოს საზოგადოების სხვა წევრებთან და შეეცადოს მათთან ერთად მოძებნოს პრობლემათა მოგვარების შესაძლო ვარიანტები. ✓ წამყვანი ელექტრონული ბიბლიოთეკებიდან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით ეკონომიკის დარგში უახლესი ინფორმაციის მიღება და გაცემა;

	<p>✓ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>დოქტორანტი შეძლებს:</p> <p>ეკონომიკის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;</p> <p>✓ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;</p> <p>✓ იყოს თვითკრიტიკული და მოახდინოს მცდარი დასკვნების მეცნიერული შეფასება და კორექტირება;</p> <p>✓ უმოკლეს დროში გაეცნოს ეკონომიკაში წარმოებულ ნებისმიერ ახალ და ღირებულ კვლევას;</p> <p>✓ არ მოექცეს არსებული დოქტრინების, სტერეოტიპების, გაბატონებული მენტალიტეტის გავლენის ქვეშ. მოიძიოს ახალი ინფორმაცია და განავითაროს მიღწეული შედეგები.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>დოქტორანტი:</p> <p>ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.</p> <p>✓ იცნობს ეკონომიკის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს.</p> <p>✓ მოწოდებულია, ეკონომიკის სფეროში ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევისა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება</p> <p>✓ ინდივიდთა საკუთრების უფლებების და თავისუფლებების განხორციელებას და</p> <p>✓ მოქმედებს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.</p>

სწავლის შედეგების რუკა

N	სასწავლო კურსები/კომპონენტები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
		ცოდნა და ცოდნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სასწავლო კომპონენტი							
1	აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის	X	X	X	X	X	X
2	კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
3	სწავლების თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საფუძვლები	X	X	X	X	X	
4	პროფესორის ასისტირება/რეცენზირება	X	X	X	X	X	X
5	მიკრო-მაკრო ეკონომიკის ძირითადი კონცეფციები	X	X	X	X	X	X
6	სტატისტიკური მოდელირება	X	X	X	X	X	X
7	ეკონომიკური პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
8	ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები	X	X	X		X	X
9	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა	X	X	X	X		
10	ინოვაციური ეკონომიკა	X	X	X	X	X	X
11	გამოყენებითი ეკონომეტრიკა	X	X	X	X	X	X
12	თანამედროვე მენეჯმენტის ძირითადი კონცეფციები	X	X	X	X	X	X
13	ეკონომიკის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები	X	X	X	X		
14	მათემატიკა ეკონომისტებისთვის	X	X	X	X	X	X
15	ეკონომიკური დოქტრინები	X	X	X		X	
16	მოდელირება (ექსელის გამოყენებით)	X	X	X	X	X	
კვლევითი კომპონენტი							
17	სადისერტაციო ნაშრომის დაცვა	X	X	X	X	X	X

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები:

სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი კურსების, სემინარების, საერთაშორისო, რეგიონალურ და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის, მაღალრეიტინგულ რეცენზირებად-რეფერირებად ჟურნალებში სტატიების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით, აუმჯობესებს და ხელს უწყობს მომავალ დოქტორს სწავლასა და კვლევის შედეგების მიღწევაში. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლა-სწავლენის ისეთი მეთოდებით, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი

ლექცია, რომლის დანიშნულებაცაა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითადი თემატიკის განხილვა და დოქტორანტის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციით. სალექციო კურსები ორიენტირებულია ეკონომიკის სფეროში თეორიული კვლევისა და აღნიშნულ სფეროში დაგროვილი გამოცდილების შესწავლაზე. ლექციები იკითხება პრობლემურ ასპექტში, ე.ი. ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე და მათ ანალიზზე.

სემინარული მეცადინეობა ითვალისწინებს პრობლემურ საკითხებზე განსახილველი თემატიკის საფუძვლიანად დამუშავებასა და მოხსენების მომზადებას. სასემინარო მოხსენებისათვის პროგრამის ფარგლებში შეირჩევა პრობლემატური საკითხები, რომელთა დამუშავება საჭიროებს ლექციებზე გაშუქებული კონცეფციებისა და დებულებების სათანადოდ გააზრებას, მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზსა და საკითხისადმი საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. სემინარული მუშაობისას უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად სწორად აღიქვამს დოქტორანტი შერჩეულ პრობლემას და დამოუკიდებლად მომზადებულ მასალას.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები და აქტივობები:

- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე.
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. დოქტორანტი სურვილის მიხედვით ამუშავებს რეფერატურულ ნამუშევრებს ან სამეცნიერო სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
 - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

➤ **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

➤ **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დოქტორანტის მიერ საგანმანათლებლო კურიკულუმით გათვალისწინებული და შესასრულებელი აქტივობები:

➤ **პროფესორის ასისტირება:** დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტირება გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

პროფესორის ასისტირება გულისხმობს შემდეგს: სამუშაო ჯგუფის პრაქტიკულების ჩატარებას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების და/ან ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას (შესაძლებელია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა).

➤ **სადისერტაციო ნაშრომის შესრულება** – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების მესამე საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო ამოცანის/ების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაგეგმვისა და განხორციელების ფლობის დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში დოქტორანტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობს გამოცდილი პროფესორი.

დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული (ემპირიული) კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში; სრულად უნდა პასუხობდეს დარგის უახლეს გამოწვევებს. სადისერტაციო ნაშრომის შესრულება მთავრდება მისიშესაბამისი წესით გაფორმებითა და დაცვით.

დასაქმების სფეროები – ეკონომიკის დოქტორს შეუძლია საქმიანობის განხორციელება აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე საჯარო, კორპორაციულ, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა – პროგრამის ეფექტური მართვის და მაღალხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტების მისაღები რაოდენობა მიმდინარე წელს შეადგენს არაუმეტეს 10 ადგილისა. (ყოველ გამოცხადებაზე განისაზღვრავრება მისაღები რაოდენობა).

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სწავლისთვის დამხმარე პირობები/ რესურსები:

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი დოქტორანტებს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში არსებობს სათანადო მატერიალური რესურსი, ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა. ეს ყოველივე, დოქტორანტებს საშუალებას აძლევს, მიეწოდოთ პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია. სალექციო აუდიტორიებში შექმნილია სწავლისთვის ადეკვატური გარემო. უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს წიგნსაცავი, სააბონენტო და სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ტექნიკა, სააქტო და საპრეზენტაციო დარბაზები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული), რომელიც სისტემატურად მდიდრდება უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ახალი წიგნებით. ბიბლიოთეკა ჩართულია „ებსკოს“ ელექტრონული ბიბლიოთეკის საძიებო სისტემაში. კომპიუტერულ ცენტრებში განთავსებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა ტექნიკა (პრინტერები, სკანერები, ქსეროქსები და სხვა), რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის. გარდა ამისა, დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ, კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად ისარგებლონ საქართველოს პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიბლიოთეკებით; ასევე, საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან არსებული შეთანხმება, მათთან დადებული მემორანდუმები ითვალისწინებს ლექტორთა და დოქტორანტთა სხვადასხვა სახის აქტივობებს, გაცვლას სასწავლო და კვლევითი მიზნებით(ბიბერახის უმაღლესი სასწავლებელი; თესალონიკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ფრენსის პეინის, ოჰაიოს უნივერსიტეტი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, სომხეთის სახელმწიფო ეკონომიკის უნივერსიტეტი, თურქეთის ფატის უნივერსიტეტი, ტუმას(იტალია) უნივერსიტეტი).

უახლესი ლიტერატურის ეგზემპლარები, რომლებიც ლექტორთა პირად მფლობელობაშია, ასევე, სამკითხველოში განთავსებული, უახლეს ლიტერატურაზე დაფუძნებული რიდერები სრულიად მისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა რეგულირდება „საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებისა (#3, 2007 წ) და (სსიპ) იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი დებულების მიხედვით

კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტები ფასდება 100 ქულიანი სისტემით შეფასების შემდეგი სისტემის მიხედვით:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასებას:

- A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დოქტორანტთა სასწავლო კომპონენტებში სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოხდება შეფასების შემდეგი აუცილებელი ფორმების გათვალისწინებით:

შუალედური შეფასება

დასკვნითი შეფასება.

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს 100 ქულას. მათ შორის:

შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება მაქსიმუმ 60%-ისა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტები, მეთოდოლოგია, კრიტერიუმები, ქულები და მინიმალური ზღვრები ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში. დოქტორანტის დასკვნით გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა.

ხოლო, კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა) შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) სადისერტაციო კოლეგიის მიერ შემდეგი პრიორიტეტების გათვალისწინებით (იხ. სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის სილაბუსი):

- სადისერტაციო თემის აქტუალობა
- ნაშრომის მეცნიერული სიახლე
- დასმული პრობლემის გადაწყვეტის ადეკვატურობა
- ნაშრომის სტრუქტურა
- პრეზენტაციის ტექნიკურ–ორგანიზაციური მხარე
- დოქტორანტის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემა

სადისერტაციო (კვლევითი) ნაშრომის შესრულება და დაცვა ფასდება შეფასების შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canon) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (დაწვრილებით დისკრიპტორები იხ. სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსში).

სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის საბოლოო შეფასება მოხდება დარგობრივი კოლეგიის წევრთა შეფასებების საერთო შეჯერებით.

ზემოთ მოყვანილი “ა”–“ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხი, “ვ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო “ზ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლებას.

დოქტორანტის კვლევით კომპონენტზე და სადოქტორო დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვების დეტალები იხ. სადისერტაციო საბჭოს დებულება

დებულება.

სწავლებისა და კვლევის ორგანიზების თავისებურებები:

სადოქტორო პროგრამა შედგება ორი ძირითადი – სასწავლო და კვლევითი ნაწილისგან.

სასწავლო ნაწილი მოიცავს ორ კომპონენტს: სწავლა და პროფესორის ასისტირება;

კვლევითი ნაწილი მოიცავს -დისერტაციის მომზადებას და დაცვას.

სასწავლო კომპონენტი:

- **სწავლა** – დოქტორანტს მოეთხოვება შემოთავაზებული კურსებიდან 40 კრედიტის(სავალდებულო და არჩევითი კურსები) გავლა. მნიშვნელოვანია, რომ გავლილი ჰქონდეს ყველა სავალდებულო საგანი. აღნიშნული კურსები დოქტორანტს აძლევს ფუნდამენტალურ ცოდნას გამოყენებითი ეკონომიკის სფეროში კვლევების საწარმოებლად. აღნიშნულ კურსებზე დოქტორანტი რეგისტრირდება სასწავლო წლის პირველ და მეორე სემესტრში. კომპონენტის შეფასება წარმოებს არჩეული კურსების სილაბუსებში შეფასების გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით.

- **პროფესორის ასისტირება** – დოქტორანტი, პროფესორის დავალების საფუძველზე, აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში და მონაწილეობს უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე: სალექციო კურსების დაგეგმვაში; პრეზენტაციებისა და ინტერაქტიული ლექციების მომზადებაში; სემინარების და პრაქტიკული სამუშაოების ორგანიზებასა და გაძღოლაში; შესაბამისი საგნის სილაბუსის სწავლების ფორმატში გაწერილი კომპონენტების შესრულებაში; სტუდენტთა შეფასებაში, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებაში, სხვადასხვა კვლევის განხორციელებაში. კომპონენტის შეფასებას ახდენს პროფესორი შემუშავებული და დამტკიცებული ფორმის მიხედვით. მას ენიჭება 20 კრედიტი.

კვლევის კომპონენტი:

კვლევითი კომპონენტი , სადისერტაციო ნაშრომი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 120 კრედიტი, როგორც წესი, სრულდება მე-2- მე-6 სემესტრების განმავლობაში. მეორე და მესამე სემესტრები იდეურად (სასურველობის პრინციპით) ეთმობა დისერტაციის შესავალი ნაწილის შესრულებას, ბიბლიოგრაფიის შექმნას, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს, პრობლემისა და საკვლევი ამოცანების დასმას, კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრას, სავარაუდო შედეგების წარმოდგენას. მეოთხე სემესტრში სრულდება ნაშრომის ექსპერიმენტული ნაწილი, იქმნება მონაცემთა ბაზა, ხდება მისი დამუშავება. შესაბამისად, მეოთხე-მეხუთე სემესტრები ეთმობა დისერტაციის ძირითადი ნაწილის შესრულებას,

დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებას, სტატიების გამოქვეყნებას, მონაწილეობას კონფერენციაში. მეექვსე სემესტრი მთლიანად დისერტაციის დასრულებას, გაფორმებასა და დაცვისათვის მზადებას(სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა, რეცენზენტთა სავარაუდო შერჩევა და რეცენზირება, ავტორეფერატის დაბეჭვდა და ა.შ.) ეთმობა.

კურიკულუმის კვლევით კომპონენტს სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და საჯარო დაცვა აგვირგვინებს. აღნიშნული ნაშრომი უნდა იყოს დასრულებული სამეცნიერო გამოკვლევა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს. მასში გადაწყვეტილი უნდა იქნეს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო/ პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური საკითხი, უნდა ავითარებდეს დარგში დაგროვილ ცოდნას და პასუხობდეს დარგის სამომავლო გამოწვევებს.

180 კრედიტი გადანაწილებულია 6 სემესტრზე (3 აკადემიური წელზე). 1 კრედიტი უტოლდება დოქტორანტის მუშაობის 25 საათს.

დისერტაციის დაცვა: დასრულებული თემის საჯარო დაცვა ხდება მას შემდეგ, როდესაც დისერტანტი პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტს წარმატებით გაივლის და მიიღებს შესაბამის კრედიტებს – 60, ხოლო დაცვას ენიჭება 120 კრედიტი; დისერტაციის მომზადების, წარდგენის და შეფასების წესი განსაზღვრულია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულებით.

დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენისა და დაცვის მინიმალური სტანდარტი:

სადოქტორო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება დოქტორანტი თუ არ აქვს შესრულებული შემდეგი საკითხები

1. მინიმუმ ერთ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება / თეზისების გამოქვეყნებით (სადისერტაციო თემის საკითხებზე);
2. მინიმუმ 2 გამოქვეყნებული სტატია (სადისერტაციო თემის საკითხებზე) ერთი საერთაშორისო რეფერირებად და ერთი ადგილობრივ გამოცემაში;
3. პროგრამის სასწავლო კომპონენტის მიხედვით მიღებული კრედიტების რაოდენობა (მ.შ. ყველა სავალდებულო საგნის);
4. ოქმის ამონაწერი: საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული თემა და მისი შესრულების მონახაზი (პროსპექტუსი);
5. ორი რეცენზენტიდან მინიმუმ ერთი რეცენზენტის დადებითი დასკვნა;
6. ხელმძღვანელის დადებითი დასკვნა.

- **კვლევის თემატიკა:** თანხმდება ინდივიდუალურად დოქტორანტთან და ხელმძღვანელთან.

სადოქტრო პროგრამა: გამოყენებითი ეკონომიკა

#	თემის დასახელება (საორიენტაციო)
1.	სპეციალური ეკონომიკური ზონების განვითარების პერსპექტივები საქართველოში
2.	ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში
3.	რეგიონული ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა და პერსპექტივები საქართველოში
4.	რეგიონალური ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში
5.	საექსპორტო პოტენციალის ამაღლების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში
6.	საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმირების შედეგები, პრობლემები, პერსპექტივები კახეთის რეგიონის მაგალითზე
7.	შესაძლებლობები და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები კახეთის რეგიონში
8.	საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები კახეთის რეგიონის მაგალითზე
9.	რეგიონის ადგილი და როლი ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში
10.	რეგიონის თავისებურებანი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში
11.	საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობები და ეფექტიანობა კახეთის რეგიონში
12.	რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების განვითარება და ევროპის ასოცირების ხელშეკრულებასთან მათი თავსებადობის თავისებურებები
13.	ევროინტეგრაცია და რეგიონის განვითარების პერსპექტივები გლობალურ მსოფლიოში

*თემატიკას შეიძლება დაემატოს სტუდენტის სურვილი მიხედვით ხელმძღვანელთან შეთანხმებით სხვა თემების დასახელება.

სასწავლო გეგმა: იხილეთ ცალკე.

სასწავლო და კვლევითი კომპონენტების(კურსების) სილაბუსები: იხილეთ ცალკე

პროგრამის ხელმძღვანელების CV–ები: იხილეთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

პროგრამის დამტკიცების აქტი: იხილეთ თავფურცელზე.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: გამოყენებითი ეკონომიკა
სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსი	სტატუსი	კურსის კოდი	პრერეკვიზიტი	კრედიტი	კრედიტების განაწილება სასწავლო წლებისა და სემესტრების მიხედვით						საათების განაწილება							სულ საათები
					I ს.წ.		II ს.წ.		III ს.წ.		საკონტაქტო							
					I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	ლექცია	პრაქტიკული სამუშაო	სემინარი	პრეზენტაცია	შუალედური გამოცდა	დასკვნითი	დამოუკიდებელი	
სავალდებულო სასწავლო კურსები	სავალდებულო			40	20	20												
კვლევის მეთოდები	სავალდებულო	SBLS3 AFPM		10	10						12	24		6		2	206	250
აკადემიური წერადოქტორანტებისათვის	სავალდებულო	SRLS3A		5	5						12	12		4	2	2	93	125

სწავლების თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საფუძვლები	სავა ლდ	SBLS3AE EMFT	5	5													
პროფესორის ასისტირება	სავა ლდ	SBLS3 AFPA	20		20					90						410	500
არჩევითი სასწავლო კომპონენტები			20	10	10												
მიკრო- მაკროეკონომიკის ძირითადი კონცეფციები	არჩ.	SBLS3AEMC MMF	10						24	24		6		2	194	250	
სტატისტიკური მოდელირება	არჩ.	SBLS3A F	10						24	24		2	4	2	194	250	
ეკონომიკური პოლიტიკა	არჩ.	SBLS3A FFP	5						12	12		4	2	2	93	125	

ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები	არჩ	SBLS3AEES F		5						12	12		2	4	2	93	125
საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა	არჩ	SBLS3A FECS		5						12	12		2	4	2	93	125
ინოვაციური ეკონომიკა	არჩ.	SBI S3A		5						12	12		4	2	2	93	125
გამოყენებითი ეკონომეტრიკა	არჩ	SBLS3 AFAF		5						12	12		2	4	2	93	125
თანამედროვე მენეჯმენტის ძირითადი კონცეფციები	არჩ.			5						12		12	6		2	93	125
ეკონომიკის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები	არჩ	SBLS3AEMT TF		5						12	12		6		2	93	125

მათემატიკა ეკონომისტიკისთვის	არჩ	SBLS3AE MEE	5							12	12		2	4	2	93	125
ეკონომიკური დოქტრინები	არჩ	SBLS3	5							12	12		6		2	93	125
კვლევითი კომპონენტი	სავ.		12 0														
სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	სავა ლდ	SBLS3AEP & DADT ₁	12 0								120						2894

დოქტორანტის კვლევით კომპონენტის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა: თუ მას შესრულებული ექნება სადოქტორო პროგრამის და დებულების ყველა მოთხოვნა, ათვისებული სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობა (მ.შ. ყველა სავალდებულო) ამასთან, დაკმაყოფილებული პროგრამის მინიმალური სტანდარტი, წარმოდგენილი სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული ყველა დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო დაცვაზე წარსადგენად.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

№	სასწავლო კურსების დასახელება	ლექტორის სახელი, გვარი	კვალიფიკაცია	დაკავებული თანამდებობა
1	აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის	ნინო კახაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასოცირებული პროფესორი
2	სტატისტიკური მოდელირება	ნანული ხიზანიშვილი	ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი
3	ეკონომიკური პოლიტიკა	ლალი ჩაგელიშვილი	ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი	მოწვეული დოქტორი
4	მოდელირება ექსელის გამოყენებით	დათო პაატაშვილი	ფიზიკა- მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი	მოწვეული დოქტორი
5	მიკრო-მაკრო ეკონომიკის პირითადი კონცეფციები	ნანა რინკიაშვილი მაია გონაშვილი	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ეკონომიკის დოქტორი	ასოცირებული პროფესორი მოწვეული დოქტორი
6	თანამედროვე მენეჯმენტის პირითადი კონცეფციები	ია ჯიმშიტაშვილი	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	პროფესორი
7	თანამედროვე სწავლების საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საფუძვლები	მარიამ ზაქარიაშვილი ნინო მოდებაძე	პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი პედაგოგიკის დოქტორი	ასოცირებული პროფესორი პროფესორი

8	ეკონომიკური დოქტრინები	თეა ლაზარაშვილი	ეკონომიკის დოქტორი	მოწვეული დოქტორი
9	ინოვაციური ეკონომიკა	მაია ალადაშვილი	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი
10	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა	თეა ლაზარაშვილი	ეკონომიკის დოქტორი	მოწვეული დოქტორი
11	ფირმის ეკონომიკური სტრატეგიების	რუსუდან დალაქიშვილი	ეკონომიკის დოქტორი	მოწვეული დოქტორი
12	გამოყენებითი ეკონომეტრიკა	ნინო მიქიაშვილი	ეკონომიკის დოქტორი	მოწვეული დოქტორი
13	კვლევის მეთოდები	მაია გონაშვილი	ეკონომიკის დოქტორი	მოწვეული დოქტორი
14	მათემატიკა ეკონომისტებისთვის	მერაბ აღნიაშვილი	მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი
15	ეკონომიკის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები	მაია გონაშვილი რუსუდან დალაქიშვილი	ეკონომიკის დოქტორი	მოწვეული დოქტორი
16	ეკონომიკის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები	მაია გონაშვილი რუსუდან დალაქიშვილი	ეკონომიკის დოქტორი	მოწვეული დოქტორი